წიალის
ეროვნული სააგენტო

2018 წლის ანგარიში

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 თვის შესრულების ანგარიში

წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) სამთო მოპოვებით სექტორში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით სტრატეგიისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მიზნით ექსპერტულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა სამმხრივ შეთანხმებას კონტრიბუციის თაობაზე. 2018 წლის 11 ივნისს დაიწყო წიაღის სექტორის ფართომასშტაბიანი რეფორმა. რეფორმის განსახორციელებლად, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს აქტიური ჩართულობით შერჩეულ იქნა მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ექსპერტთა გუნდი (ADAM SMITH International). ამ პროცესში პირველივე ეტაპიდან უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, რეფორმის გამჭვირვალედ და ეფექტიანად წარმართვის მიზნით.

წიაღის სექტორის რეფორმის კოორდინაციის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. ექპერტთა გუნდის სამუშაო მისიის ფარგლებში, 2018 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს შენობაში გაიმართა წიაღის სექტორის რეფორმის მაკოორდინირებელი უწყებათაშორისი საბჭოს პირველი შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნა პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადი გამოწვევები და მიმართულებები, ასევე განხილული იქნა უკვე მომზადებულ ანგარიშებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. ექსპერტთა გუნდი მორიგი სამუშაო ვიზიტით საქართველოში, 10 დეკემბრის კვირაში იმყოფებოდა.

მიმდინარე წლის განმავლობაში EBRD-ის მხარდაჭერით მიმდინარე წიაღის ფართომასშტაბიანი რეფორმის ფარგლებში ექსპერტთა გუნდის მიერ მომზადებულ იქნა ოთხი ანგარიში: საწყისი ანგარიში, საუკეთესო პრაქტიკის ანგარიში, არსებული მდგომარეობის ანალიზი და შესაძლო ვარიანტებისა და რეკომენდაციების ანგარიში. რეფორმის პირველი ფაზის მიმდინარეობის პარალელურად დაიწყო დაიწყო მოლაპარაკებები რეფორმის მე-2 ფაზის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სააგენტო თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (USAID, G4G, World Bank). G4G-ის დახმარებით მომზადდა საქართველოს სამთო-მოპოვებითი სექტორის ბიზნეს ხედვის კვლევა და სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა სწავლება; მსოფლიო ბანკთან (World Bank) შეთანხმდა პროექტის “მიტოვებულ საბადოთა აღიცხვა/პასპორტიზაციის მეთოდოლოგიის შემუშავება” ტექნიკური დავალება და დაიგეგმა

თანამშრომელთა გადამზადება; USAID - თან თანამშრომლობით მომზადდა საბადოს დამუშავების პროექტის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე მთავრობის დადგენილების პროექტი;

დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში მომზადებულია კანონპროექტი ,,საქართველოს კანონი ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ცვლილებებით გათვალისწინებულია წყლით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა პირდაპირი წესით წყალმომარაგების ლიცენზიის მფლობელ კომპანიებზე. ასევე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ლიცენზიის აღების შემთხვევაში. კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია ლიცენზიის მთლიანად ან ნაწილის გადაცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების 10 დღეში მიღების შესაძლებლობა, მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული 3 დღის ნაცვლად. კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება აუქციონის გამოცხადების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის გამოქვეყნების წესი. ცვლილებების შედეგად აღმოიფხვრება საკუთრებაში არსებულ მიწებზე წყლითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისას არაჯანსაღი კონკურენციის რისკი. ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ მოუწევს აუქციონის გამოცხადების მიზნით ბეჭდურ საინფორმაციო საშუალებებში ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად დანახარჯების გაწევა. ასევე დადგინდება

ადეკვატური და გონივრული ვადა სარგებლობის ლიცენზიის გადაცემისას ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის.

,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის ფარგლებში დაგეგმილი და ინიცირებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე ლიცენზიის გაცემისას მიწის მესაკუთრის კომპენსირების წესი და გაწერილია ასევე პროცედურა. კანონპროექტით გათვალისწინებულია წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ფასიანი მომსახურების გაწევისათვის საჭირო ნორმატიული აქტის საკანონმდებლო საფუძველი, რომლის მიხედვითაც, საკითხი უნდა მოწესრიგდეს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით. შედეგად მოწესრიგდება საკუთრებაში არსებულ მიწებზე წიაღით სარგებლობის პროცესში მესაკუთრისათვის კომპენსაციის გადახდის წესი (როგორც პროცედურილი, ისე რაოდენობრივი ნაწილი), რაც დააზღვევს სახელმწიფოსათვის წიაღზე საკუთრების უფლების ხელშეშლის რისკებს, ასევე შეამცირებს სასამართლო დავების მოსალოდნელ ალბათობას.

,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილებით მოწესრიგდა 2017 წლის დეკემბრის თვეში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საკითხები.

მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმებისას სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. 2018 წლის 16 თებერვალი, N84.

ცვლილებები შევიდა ,,სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობისა და დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 მარტის N10 დადგენილებაში.

ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილებაში - ,,ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესის, წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, 1-02, 1-03 და 1-04) დამტკიცების თაობაზე“. ცვლილებები უკავშირდება ლიცენზირების ელექტრონული პროგრამის დანერგვას, ტექნიკურად გასწორდა და ანგარიშის წარმოდგენის ფორმები თავსებადი გახდა ელექტრონულ პროგრამასთან. დადგინდა ასევე ანგარიშგების ფორმების ელექტრონულად წარმოდგენის ვალდებულება. დღეის მდგომარეობით მომზადებულია და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილია ცვლილებები ამავე დადგენილებაში. ცვლილებებით

გათვალისწინებულია ლიცენზირებულ ფართობებზე წიაღით სარგებლობის პროექტის განახლებული ფორმით მომზადების წესი. წესის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე უცხოელი ექსპერტებისა და სპეციალისტების რეკომენდაციები.

ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტის N502 დადგენილებაში ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. - ცვლილებებით გასაჯაროვდა გეოლოგიურ საინფორმაციო ფონდებში დაცული ანგარიშები და ხელმისაწვდომი გახდა დაინტერესებული პირებისათვის. დადგენილება ამ ეტაპზე ატარებს გარდამავალი დოკუმენტის ფუნქციას, მანამდე, ვიდრე, გაჩნდება საკანონმდებლო საფუძველი წიაღის ეროვნული სააგენტოს ფასიანი მომსახურებისათვის ნორმატიული აქტის გამოსაცემად.

მომზადდა ,,სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 20 აპრილის N1 ბრძანება.

მომზადდა ,,სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა

და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 1 მაისის ბრძანება N2.

მომზადდა ,,სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის რეგულირების საფასურის ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 29 ივნისის N5 ბრძანება.

მომზადდა სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 24 ივლისის N6 ბრძანება.

მომზადებულია და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის დამტკიცების თაობაზე“. დადგენილებით მოწესრიგდება მიწისქვეშა მინერალური, თერმული და ჩამოსხმის მიზნით მტკნარი/დაბალმინერალიზებული წყლებისათვის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტების შედგენისა და დამტკიცების საკითხები.

შემუშავდა “სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის დადგენილებაში ცვლილებები, რომელშიც შევიდა ჯორკის კოდექსის პრინციპები.

განხორციელდა ჯორკის კოდექსის თარგმანი და მიმდინარეობს კოდექსის პრინციპებზე დამყარებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის ანგარიშის შედგენის ინსტრუქციის შემუშავება;

შეიქმნა გეოლოგიური ფონდების ელექტრონული არქივი. შეივსო და განახლდა ქვეყნის მინერალური რესურსების ბაზა და გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო.

მინერალური რესურსების რაციონალურად მართვის მიზნით მომზადდა სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის 1300 გეოსაინფორმაციო პაკეტები;

დაფიქსირდა მონაცემთა ბაზაში სალიცენზიოდ შემოსული 1352 ახალი განაცხადი;

განხორციელდა წიაღის სექტორის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და გაუმჯობესება.

განხორციელდა გეოლოგიურ ფონდებში დაცულ მასალებზე ინფორმაციის გაცემა - 380 ერთეული.

მომზადდა გეოლოგიური ფონდების ელექტრონული კატალოგი, სადაც ინტეგრირებულია სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში არსებული ანგარიშები,

შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია მისთვის საინტერესო რესურსის სახეობისა და მდებარეობის მითითებით.

განხორციელდა საველე გასვლები (მივლინება) - 614 დღე.

მიმდინარეობს საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსის (2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) შედგენის სამუშაოები.

მიმდინარეობს (მე-2 ეტაპი) სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (#1–01, #1–02, #1–03) შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში დაფიქსირება.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიას (მსკ) წარედგინა 8 გეოლოგიური ანგარიში.

მომზადდა 6 მსკ-ზე დამტკიცებული მარაგების ანგარიშის დოკუმენტაცია (ოქმი, ბრძანების პროექტი).

მომზადდა ფასიან მომსახურებაზე შემოსულ განცხადებებზე პასუხები - 163 ერთეული.

მონაცემთა ბაზაში დაფიქსირდა ლიცენზიის გაცემის, გადაცემის, გაუქმების ბრძანებები -1503 ერთეული;

მომზადდა/დაკორექტირდა სალიცენზიო განცხადების ტოპოგრაფიული რუკა - 350 ერთეული.

მიწის ნაკვეთების წიაღზე დამაგრება/არ დამაგრების შესახებ ინფორმაციის მომზადება - 2491 მიწის ნაკვეთი.

სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადდა 934 სალიცენზიო ობიექტი, ჩატარდა 50 აუქციონი და გაიცა სასარგებლო წიაღისეულის 641 ლიცენზია.

განხორციელდა სალიცენზიო პირობების კონტროლი სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურად სამართავად. ლიცენზიით ან განკარგულებით გათვალისწინებული პირობებისა და სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შემოწმება, როგორც წინასწარ დამტკიცებული გეგმით, ისე სააგენტოში შემოსული განცხადებების/საჩივრების საფუძველზე. შემოწმდა 280 ლიცენზია და განკარგულება (გეგმიურად -150 და არაგეგმიურად - 130), კამერალურად შემოწმდა სრული ლიცენზიების ბაზა გარკვეული სალიცენზიო პირობების მონიტორინგის კუთხით.